სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

შიდა აუდიტის სამსახური

დასკვნა 2014 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე

აუდიტის შედეგები

2014 წლის აპრილის თვეში საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელდა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული 9 მეურვიდან, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 7 წევრის არჩევა. 2014 წლის 18 ივლისს გენერალური დირექტორის №2786/01 ბრძანებით წარმოდგენილი იყო სამეურვეო საბჭოსთვის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი დასამტკიცებლად. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"ს- სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილება №266 - (ოქმი №275) - "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30(1) მუხლის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, მიღებულ იქნა და დამტკიცდა 2014 წლის ბიუჯეტი. დეტალური ინფორმაცია ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილია ცხრილი №1-ში.

ცხრილი №1	ხაზინა	ბანკი
შრომის ანაზღაურება	14,584,766	1,340,000
რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღებისთის)	2,238,432	-
მივლინებები	763,829	72,000
სამეურვეო საბჭო	484,500	-
მონიტორინგის საბჭო	99,042	14,000
ადმინისტრაციული	1,740,082	210,195
მარკეტინგი და გაყიდვები	103,507	16,170
საინფორმაციო	358,147	61,460
პროდიუსინგი	2,793,848	410,217
ტექნიკური	2,447,355	292,455
სხვა გადასახდელები	6,880,456	223,120
მთლიანი ბიუჯეტი:	**32,493,965**	**2,639,617**

2014 წლის 30 დეკემბრის სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით №284 (ოქმი №286) მოხდა ბიუჯეტში ცვილებების შეტანა და შესაბამისად დამტკიცდა კორექტირებული ბიუჯეტი. დეტალური ინფორმაცია კორექტირებული ბიუჯეტის შესახებ იხ. ცხრილი №2-ში.

ცხრილი №2	ხაზინა	ბანკი
შრომის ანაზღაურება	15,998,438	119,276
რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღებისთის)	-	-
მივლინებები	731,370	155,782
სამეურვეო საბჭო	361,251	-
მონიტორინგის საბჭო	111,042	-
ადმინისტრაციული	1,828,102	207,672
მარკეტინგი და გაყიდვები	141,991	13,615
საინფორმაციო	445,402	76,693
პროდიუსინგი	2,892,553	311,000
ტექნიკური	2,988,153	88,338
სხვა გადასახდელები	6,995,663	378,436
მთლიანი ბიუჯეტი:	**32,493,965**	**1,350,811**

აღნიშნული ცვლილებები გამოწვეული იყო იმით, რომ სარეზერვო მუხლიდან (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღების ხარჯი) განხორციელდა 2,238,432 ლარის გადანაწილება სხვადასხვა მუხლებში, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლების მოცულობების ცვლილება. კერძოდ:

ხაზინიდან

- რეზერვის (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკიური გადაირაღებისათვის) მუხლი შემცირდა - 2,238,432 ლარით;
- შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდა – 1,413,672 ლარით;
- მივლინებების ხარჯები შემცირდა – 32,459 ლარით;
- სამეურვეო საბჭოს ხარჯი შემცირდა – 123,249 ლარით;
- მონიტორინგის საბჭოს ხარჯი გაიზარდა – 12,000 ლარით;
- ადმინისტრაციული ხარჯი გაიზარდა – 88,020 ლარით;
- მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯი გაიზარდა – 38,484 ლარით;
- საინფორმაციო ხარჯი გაიზარდა – 87,255 ლარით;

- პროდიუსინგის ხარჯი გაიზარდა – 98,705 ლარით;
- ტექნიკური ხარჯი გაიზარდა – 540,798 ლარით;
- სხვა გადასახდელები გაიზარდა – 115,207 ლარით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ცხრილი №3-ში

ცხრილი №3

ხაზინა		
	დამტკიცებული	**კორექტირებული**
შრომის ანაზღაურება	14,584,766	15,998,438
რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღების ხარჯი)	2,238,432	-
მივლინებები	763,829	731,370
სამეურვეო საბჭო	484,500	361,251
მონიტორინგის საბჭო	99,042	111,042
ადმინისტრაციული	1,740,082	1,828,102
მარკეტინგი და გაყიდვები	103,507	141,991
საინფორმაციო	358,147	445,402
პროდიუსინგი	2,793,848	2,892,553
ტექნიკური	2,447,355	2,988,153
სხვა გადასახდელები	6,880,456	6,995,663
მთლიანი ბიუჯეტი:	**32,493,965**	**32,493,965**

ბანკიდან:

- შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდა – 1,220,724 ლარით;
- მივლინებების ხარჯი გაიზარდა – 83,782 ლარით;
- მონიტორინგის საბჭოს ხარჯი შემცირდა – 14,000 ლარით;
- ადმინისტრაციული ხარჯი შემცირდა – 2,523 ლარით;
- მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯი შემცირდა – 2,555 ლარით;
- საინფორმაციო ხარჯი გაიზარდა – 15,233 ლარით;

- პროდიუსინგის ხარჯი შემცირდა – 99,217 ლარით;
- ტექნიკური ხარჯი შემცირდა – 204,117 ლარით;
- სხვა გადასახდელები გაიზარდა – 155,316 ლარით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ცხრილი №4-ში.

ცხრილი №4

ბანკი		
	დამტკიცებული	**კორექტირებული**
შრომის ანაზღაურება	1,340,000	119,276
რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღების ხარჯი)	-	-
მივლინებები	72,000	155,782
სამეურვეო საბჭო		
მონიტორინგის საბჭო	14,000	
ადმინისტრაციული	210,195	207,672
მარკეტინგი და გაყიდვები	16,170	13,615
საინფორმაციო	61,460	76,693
პროდიუსინგი	410,217	311,000
ტექნიკური	292,455	88,338
სხვა გადასახდელები	223,120	378,436
მთლიანი ბიუჯეტი:	**2,639,617**	**1,350,812**

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხაზინის ჯამური ბიუჯეტი შესრულებული ოპერაციების შედეგად არ შეცვლილა, ხოლო კომერციული საქმიანობისათვის ბანკიდან გასაწევი ხარჯების დანაზოგმა შეადგინა 1,288,805 ლარი.

ასევე შემოწმდა 2014 წლის სახაზინო ბიუჯეტით (კორექტირებული) გათვალისწინებული ხარჯების შესრულება საკასო ხარჯებთან მიმართებაში და გამოიკვეთა, რომ შრომის ანაზღაურების ხარჯი – 15,998,438 ლარი, სამეურვეო საბჭოს ხარჯი – 361,251 ლარი, მონიტორინგის საბჭოს ხარჯი – 111,042 ლარი და მარკეტინგისა და გაყიდვების ხარჯი – 141,991 ლარი, სრულად იქნა ათვისებული საკასო ხარჯების მონაცემების მიხედვით. რაც შეეხება მივლინებების, ადმინისტრაციის, საინფორმაციოს, პროდიუსინგის, ტექნიკურის და სხვა გადასახდელების სახაზინო ხარჯების შესრულებას საკასო ხარჯებთან მიმართებაში გამოიკვეთა დანაზოგი, საერთო ჯამური თანხით 1,189 ლარი. კერძოდ:

- მივლინებები სახაზინო ბიუჯეტით – 731,370 ლარი, საკასო ხარჯების მონაცემებით – 731,248 ლარი, დანაზოგი – 122 ლარი;
- ადმინისტრაციული სახაზინო ბიუჯეტით – 1,828,102 ლარი, საკასო ხარჯების მონაცემებით – 1,827,901 ლარი, დანაზოგი – 201 ლარი;
- საინფომაციო სახაზინო ბიუჯეტით – 445,402 ლარი, საკასო ხარჯების მონაცემებით – 445,392 ლარი, დანაზოგი – 10 ლარი;
- პროდიუსინგი სახაზინო ბიუჯეტით – 2,892,553 ლარი, საკასო ხარჯების მონაცემებით – 2,892,384 ლარი, დანაზოგი – 169 ლარი;
- ტექნიკური სახაზინო ბიუჯეტით – 2,988,153 ლარი, საკასო ხარჯების მონაცემებით – 2,987,902 ლარი, დანაზოგი – 251 ლარი;
- სხვა გადასახდელები სახაზინო ბიუჯეტით – 6,995,663 ლარი, საკასო ხარჯების მონაცემებით – 6,995,227 ლარი, დანაზოგი – 436 ლარი;

	ხაზინა გეგმა	ხაზინა საკასო ხარჯები	% მაჩვენებელი
შრომის ანაზღაურება	15,998,438	15,998,438	49.2
რეზერვი (რეფორმების, საკონსულტაციო და ტექნიკური გადაიარაღების ხარჯი)	-	-	
მივლინებები	731,370	731,248	2.3
სამეურვეო საბჭო	361,251	361,251	1.1
მონიტორინგის საბჭო	111,042	111,042	0.3

ადმინისტრაციული	1,828,102	1,827,901	5.6
მარკეტინგი და გაყიდვები	141,991	141,991	0.4
საინფორმაციო	445,402	445,392	1.4
პროდიუსინგი	2,892,553	2,892,384	8.9
ტექნიკური	2,988,153	2,987,902	9.2
სხვა გადასახდელები	6,995,663	6,995,227	21.5
მთლიანი ბიუჯეტი:	**32,493,965**	**32,492,776**	**100**

2014 წლის სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები გეგმიურზე გადაჭარბებით იქნა შესრულებული. კერძოდ: დაგეგმილი 2,639,617 ლარის ნაცვლად, მიღებულმა შემოსავალმა 1,480,697 ლარით მეტი შეადგინა, რის შედეგადაც მთლიანმა შემოსავლმა 4,120,314 ლარი შეადგინა.

მათ შორის:

- სარეკლამო და სასპონსორო შემოსავლები – 2,803,354 ლარი;
- იჯარიდან შემოსავლები – 819,562 ლარი;
- ტექნიკის გაქირავებიდან შემოსავლები – 191,805 ლარი;
- სხვადასხვა შემოსავლები – 305,593 ლარი.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2014 წლის დაფინანსების თანხა სახელმწიფო ბიუჯეტის სახაზინო გეგმის მიხედვით შეადგენდა 32,493,965 ლარს, ფაქტიურად საბიუჯეტო დაფინანსებიდან გაიხარჯა 32,492,775 ლარი, ანუ გეგმის 99,9%-ტი.

2014 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვითი ნაწილის თანხა 1,350,,811 ლარის ოდენობით, ფაქტიურად კი გაიხარჯა 1,344,605 ლარი, ანუ გეგმის 99,5%-ტი.

2014 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, 2013 წლიდან გადმოყოლილმა ფინანსური სახრების ნაშთმა შეადგინა 49,620 ლარი. 2014 წლის ეკონიმიკური საქმიანობიდან მიღებული 4,120,314 ლარის შემოსავლების, 2013 წლიდან გადმოყოლილი ნაშთისა და 2014 წელს გაწეული 1,344,605 ლარის ხარჯების გათვალისწინებით, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს საბანკო ანგარიშზე რიცხულმა ფინანსური სახსრების ნაშთმა შეადგინა 2,825,329 ლარი. ბიუჯეტის შესრულება შეიძლება შეფასდეს დადებითად.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"
შიდა აუდიტის სპეციალისტი — მამუკა ბეჟიაშვილი

24.04.2015წ.